სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

26 ივლისი 2024

N 21/7818

შპს „როუდ ლაინს“
მის: ქ. თბილისი, დარიალის შესახვევი №8
ელ. ფოსტა: info@roadline.ge

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სააგენტომ განიხილა თქვენი 2024 წლის 17 ივლისის №7265 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მისაქციელში მეორადი საბურავების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს ობიექტზე აღდგენის მიზნით წლის განმავლობაში მისაღები და ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობები, „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს №426 დადგენილებით განსაზღვრული კოდებისა და დასახელებების მითითებით. სკრინინგის განცხადებაში ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ დანართით განსაზღვრული, საქმიანობასთან შესაბამისი კოდი;
- ვინაიდან, ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიური პროცესი ასევე ითვალისწინებს საბურავების ზედაპირის მექანიკურ დამუშავებას (მოხეხვა), პროცესის ერთგვაროვნებიდან გამომდინარე, არსებული წარმოება წარმოადგენს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროს. შესაბამისად, დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია. აღნიშნული საკითხი ასევე გათვალისწინებული უნდა იქნას კუმულაციური ზემოქმედების შესახებ მოცემულ ინფორმაციაში;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს საბურავების აღდგენის პროცესში გათვალისწინებული დანადგარების რაოდენობა და საპასპორტო მონაცემები (სახელმწიფო ენაზე);
- დოკუმენტში მითითებული არ არის საწარმოს წლიური სამუშაო რეჟიმი;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს ობიექტიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე დაშორების მანძილი, სიტუაციურ რუკაზე დატანით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/7818-21-2-202407261503

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE